საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საქართველოს სატრანზიტო შემოსავლების მიმოხილვა

www.sab.ge

საზოგადოება და ბანკებმა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი მიმოიხილა. სატრანსპორტო შემოსავლები საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანი ნაწილია. 2021 წლის მონაცემებით სატრანსპორტო შემოსავლებმა 817 მლნ. დოლარი შეადგინა. საიდანაც დიდი ნაწილი, 712 მლნ დოლარი ტვირთის გადაზიდვიდან და მისი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალია.

პირველ გრაფიკზე ნაჩვენებია სატრანსპორტო შემოსავლების დინამიკა 2013-21 წლებში და 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები. 2019 წლის ჩათვლით ტრანსპორტირებიდან შემოსავლები სტაბილური იყო, თუმცა 2020 წელს, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით შემოსავლებში ვარდნა იყო. ვარდნა ძირითადად გამოწვეული იყო მგზავრობის შემცირებიდან და ასევე სხვა კატეგორიის სატრანსპორტო შემოსავლების შემცირებიდან, რომელიც, ძირითადად, საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ ტვირთებზე მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს წარმოადგენს. 2021 წელს კვლავ შემცირებული რჩებოდა ეს ორი კომპონენტი.

მეორე გრაფიკზე ნაჩვენებია სამივე კომპონენტის ზრდის ტემპების დინამიკა ანალოგიურ პერიოდში. როგორც აღვნიშნეთ, 2020 წელს, ყველაზე დიდი ვარდნა, 84%-ით შემცირება, მგზავრობიდან მიღებულ შემოსავლებშია, ხოლო სხვა კატეგორიის შემოსავლების შემცირება 33%-ს აღემატებოდა. 2021 წლისთვის სამივე კატეგორიის სატრანსპორტო შემოსავალი ზრდადია და პანდემიური შეზღუდვების მილევასა და რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული სატრანზიტო არხების ცვლილებასთან ერთად 2022 წელს უფრო მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი. ამ ეტაპზე მიმოვიხილავთ საერთაშორისო ტვირთებიდან და მათი მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით რელევანტური საკითხია.

ტრანსპორტირების სახეების ჩაშლა მსხვილ ქვეჯგუფებად შემდეგია: საზღვაო, საჰაერო და სხვა. თავის მხრივ სხვა ქვეჯგუფი იყოფა: სარკინიგზო, საგზაო და მილსადენის სატრანსპორტო ჯგუფებად. როგორც მესამე გრაფიკზე ჩანს, 2021 წელს საზღვაო, საჰაერო და სხვა ტიპის სატრანსპორტო შემოსავლები 700 მლნ დოლარს აჭარბებდა, სადაც უდიდესი წილი, 555 მლნ დოლარი, სხვა სახის (რკინიგზა, საგზაო, მილსადენი) სატრანსპორტო შემოსავლებიდან იყო მიღებული. მას შემდეგ, რაც რუსული აგრესიის და საერთაშორისო სანქციების პირობებში ქართულ პორტებზე მოთხოვნა იზრდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2022 წლისთვის საზღვაო ტრანსპორტირებით მიღებული შემოსავლები 50%-ით გაიზრდება და დაახლოებით 160 მლნ დოლარს შეადგენს. 2021



გრაფიკი 1 – სატრანსპორტო შემოსავლების დინამიკა



გრაფიკი 2 – სატრანსპორტო შემოსავლების ზრდის ტემპის დინამიკა სახეობების მიხედვით



გრაფიკი 3 – ტრანსპორტირების სახეობების მიხედვით

წყარო: ეროვნული ბანკი; ავტორის გამოთვლები

* ფრახტი - ტვირთის გადაზიდვის გადასახადი

წლის საჰაერო ტრანსპორტირებიდან მიღებული შემოსავლების 10%-იანი ზრდის შემთხვევაში 2022 წელს შემოსავლები 160 მლნ დოლარს მიაღწევს.



ГРАФИКИ 4 – სხვა ტრანსპორტის ჩაშლა სახეობებად (ტვირთები და ტვირთის მომსახურება)

წყარო: ეროვნული ბანკი

მეოთხე გრაფიკზე ასახულია სხვა სატრანსპორტო კატეგორიაში შემავალი ტრანსპორტირების შემოსავლების დინამიკა, სადაც ყველაზე მეტი შემოსავალი მილსადენებიდან არის მიღებული. ის 2013-2021 წლებში საშუალოდ 2.5%-ით იზრდებოდა. 2022 წელს 10%-იანი ზრდის შემთხვევაში მილსადენებიდან მიღებული შემოსავალი, დაახლოებით 380 მლნ დოლარი იქნება. ხოლო სარკინიგზო და საგზაო სატრანსპორტო შემოსავლები, 20% -იანი ზრდის შემთხვევაში, ერთად 260 მილიონ დოლარს მიაღწევს.

როგორც კვლევები[2] აჩვენებს 2022 წლისთვის საერთაშორისო ტვირთების ნაკადების საქართველოს გავლით გადამისამართება, მშპ-ს ზრდაში 0.7 პპ-ის კონტრიბუციას მოახდენს, ხოლო მშპ-ს ზრდის პროგნოზი, თავდაპირველი 3%-იანი მნიშვნელობიდან 4-4.5%-მდე შეიძლება დაკორექტირდეს.

საბოლოო ჯამში, საქართველოს შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან 2022 წელს 2021-თან შედარებით დაახლოებით 150 მლნ დოლარით მეტი იქნება და 960 მლნ დოლარს გადააჭარბებს. მნიშვნელოვანი ზრდა არის მოსალოდნელი საზღვაო და საგზაო ტრანსპორტირების შემოსავლებში საერთაშორისო ტვირთების ნაკადების გადამისამართებიდან გამომდინარე. ეს მოვლენა კი საქართველოსთვის სავალუტო შემოდინებებზე და ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანწილად პოზიტიური გავლენის მქონე იქნება. ახალ რეალობაში, სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის გაძლიერება მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობასთან ერთად უსაფრთხოების დამატებით გარანტიებსაც გააჩენს. კვლავ გამოწვევად რჩება არ აშენებული და დაუსრულებელი საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო ინფრასტრუქტურა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის განხორციელება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა იქნებოდა. საჭიროა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ახალ მსოფლიო წესრიგში საქართველოსთვის, როგორც სატრანზიტო ჰაბისთვის, ადგილის დამკვიდრება.

[2] galtandtaggar-Georgian Economy Strong growth in Jan-Feb, upsides to growth

www.sab.ge